

შპს „სოიასტარის“
2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

(31 დეკემბრის მდგომარეობით)

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები.....	4
1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა	4
2. შედგენის საფუძველი.....	4
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. ძირითადი საშუალებები	9
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10
7. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
8. რეალიზაციის თვითღირებულება	10
9. სხვა საოპერაციო ხარჯი	11

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	7,891,026	7,866,565
არამატერიალური აქტივები		4,792	5,468
		7,895,818	7,872,033
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	1,350,994	680,042
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები		6,985	19,474
საქონელი		54,712	86,013
საგადასახადო აქტივი		56,209	-
სხვა მიმდინარე აქტივები		3	-
		1,468,903	785,529
სულ აქტივები		9,364,721	8,657,562
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან		5,040	7,295
წარმოქმნილი ვალდებულებები		-	20,573
საგადასახადო ვალდებულებები		-	120
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-
		5,040	27,988
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,302,639	10,589,639
გაუნაწილებელი მოგება		(2,942,958)	(1,960,065)
		9,359,681	8,629,574
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,364,721	8,657,562

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 29 სექტემბერს.

შპს „სოიასტარი“
დირექტორი ალხან ალიზადა

თანდართული შენიშვნები 4-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	7,891,026	7,866,565
არამატერიალური აქტივები		4,792	5,468
		7,895,818	7,872,033
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	1,350,994	680,042
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები		6,985	19,474
საქონელი		54,712	86,013
საგადასახადო აქტივი		56,209	-
სხვა მიმდინარე აქტივები		3	-
		1,468,903	785,529
სულ აქტივები		9,364,721	8,657,562
მიმდინარე ვალდებულებები			
მონოდებიდან და მომსახურებიდან		5,040	7,295
წარმოქმნილი ვალდებულებები		-	20,573
საგადასახადო ვალდებულებები		-	120
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-
		5,040	27,988
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,302,639	10,589,639
გაუნაწილებელი მოგება		(2,942,958)	(1,960,065)
		9,359,681	8,629,574
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,364,721	8,657,562

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2022 წლის 29 სექტემბერს.

შპს „სოიასტარის“
დირექტორი ალხან ალიზადა

თანდართული შენიშვნები 4-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	119,351	4,734,412
რეალიზაციის თვითღირებულება	8	(16,187)	(4,467,325)
საერთო მოგება		103,164	267,087
საოპერაციო ხარჯები			
დასაქმებულთა ანაზღაურება		(411,528)	(309,923)
ცვლელთა და ამორტიზაცია		(98,695)	(140,157)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(454,482)	(450,150)
		(964,705)	(900,230)
საოპერაციო მოგება		(861,541)	(633,143)
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი		34,860	2,670
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(165,643)	32,092
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		9,431	(22,552)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(982,893)	(620,933)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		(982,893)	(620,933)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის		(1,960,065)	(1,339,132)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)		(982,893)	(620,933)
გამოცხადებული დივიდენდები		-	-
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება		-	-
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის		(2,942,958)	(1,960,065)

თანდართული შენიშვნები 4-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
რეალიზაცია		153,127	278,095
მიღებული ავანსები		-	4,727,350
საპროცენტო შემოსავალი		34,860	2,670
ბიუჯეტიდან თანხის დაბრუნება		1,702,589	111,059
სულ მიღებული ფულადი ნაკადები		1,890,576	5,119,174
გაცემული თანხები:			
მომწოდებლებთან გადახდილი თანხები		357,158	4,404,911
სახელფასო ხარჯები		337,812	235,553
საგადასახადო ხარჯები		2,061,303	1,166,847
სხვა საოპერაციო ხარჯები		10,954	5,787
სულ გაცემული თანხები		2,767,227	5,813,098
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(876,651)	(693,924)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
კაპიტალური ხარჯები		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხის მიღება		-	-
სესხის ძირის დაფარვა		-	-
სესხის პროცენტის დაფარვა		-	-
დივიდენდების გაცემა		-	-
ცვლილება საკუთარ კაპიტალში		1,713,000	1,030,120
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		1,713,000	1,030,120
წმინდა ფულადი ნაკადები		836,349	336,196
ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტი		(165,397)	26,816
ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	6	680,042	317,030
ფული პერიოდის ბოლოს	6	1,350,994	680,042

თანდართული შენიშვნები 4-11 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „სოიასტარის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს „სოიასტარი“ დაარსდა ქ.თბილისში, 2002 წლის 24 სექტემბერს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული „ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტედ 125534“ – ის მიერ, რომელიც დღემდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 204992516.

შვილობილი კომპანია - შპს ფოთილოჯისთიქსი, რომლის 99.62613% წილის მფლობელია 2005 წლის 25 აგვისტოდან. საიდენტიფიკაციო ნომერია: 215081854. შპს ფოთილოჯისთიქსი 2021 წლის ივლისიდან ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა :
დირექტორი – ალხან ალიზადა, აზერბაიჯანი

ჯგუფის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმომადგენს სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურებები, ტვირთის დასაწყობება/შენახვის და დატვირთვა/განტვირთვის მომსახურებები. 2020 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით კომპანიის საქმიანობა ასევე იყო არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით.

შპს „სოიასტარის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 154.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს (მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს) და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსაძევი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ევრო 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერს: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარს და ევრო 4.0233 ლარს). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღრიცხვა ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვთვის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვთვის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

3.4 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3.6 მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3.7 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.8 გადასახადები

მოგების გადასახადში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის აღარ არსებობს დროებითი სხვაობები,

რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად ჯგუფი აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში შესაბამისი გადანაწილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.9 კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3.10 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს განუყოფელ მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების “მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილ აქტივებსა და პასივებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

4.1 საგაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

4.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა და შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.3 საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადანყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მინის ნაკვეთები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მიმოსვლის გზები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019წ	4,012,111	10,247	2,311	37,240	19,897	2,599,698	890,066	379,422	7,950,992
დამატება	-	2,302	-	-	-	52,388	674	-	55,364
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვლათა	-	(2,962)	(1,209)	(32,014)	(2,415)	-	(44,474)	(56,717)	(139,791)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020წ	4,012,111	9,587	1,102	5,226	17,482	2,652,086	846,266	322,705	7,866,565
დამატება	-	11,970	-	-	25,721	-	-	86,625	124,316
გასვლა	-	(172)	-	-	(1,664)	-	-	-	(1,836)
პერიოდის ცვლათა	-	(3,856)	(197)	(869)	(3,137)	-	(41,165)	(48,795)	(98,019)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021წ	4,012,111	17,529	905	4,357	38,402	2,652,086	805,101	360,535	7,891,026

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2020 წელი
ფული სალაროში	-	-
საბანკო ანგარიშები	1,350,994	680,042
	1,350,994	680,042

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	119,351	4,734,412
	119,351	4,734,412

8. რეალიზაციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
რეალიზაციის თვითღირებულება	16,187	4,467,325
	16,187	4,467,325

9. სხვა საოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი, 2021 წელი	31 დეკემბერი, 2020 წელი
საგადასახადო ხარჯები	211,971	266,034
იჯარა	79,285	67,781
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	49,393	21,347
დაზღვევა	4,493	5,207
სხვა ხარჯები	109,340	89,781
	454,482	450,150